ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6519811

ნომერი: AR1972037

თარიღი : 14.06.2023

გაცემის თარიღი : 21.06.2023

გაცნობის თარიღი : 21.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წყნეთი, ბაგების სატყეო ; ქალაქი თბილისი , ბაგების სატყეო ტერიტორია, ნაკვეთი N81;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხმალაძე პ/ნ 35001018932
- კ. მაყაშვილის ქ. #1/10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის №5106244 და 2021 წლის 19 მარტის №5333913 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023

წლის 14 ივნისს №AR1972037 და №AR1972039 განცხადებებით მომართა გიორგი ხმალაძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის №5106244 და 2021 წლის 19 მარტის №5333913 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის №5106244 ბრძანებით 3 (სამი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით №01.20.01.010.452 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის №5252922 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის №5106244 ბრძანებაში საზოგადოებრივ საზღვრებთან დაკავშირებით.
სამსახურის 2021 წლის 19 მარტის №5333913 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა 3 (სამი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2023 წლის 15 მაისის №6460920 ბრძანებით 3 (სამი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცდა ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამასთან, სამსახურში ფიქსირდება 2023 წლის 16 მაისის №AR1966464 და №AR1966088, აგრეთვე, 2023 წლის 19 ივნისის №AR1972904 განცხადებები ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტების შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით.
განმცხადებლის განმარტებით, აღარ აქვს სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის №5106244 და 2021 წლის 19 მარტის №5333913 ბრძანებების საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ინტერესი. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაციის №882023555739, მომზადების თარიღი: 02/06/2023 წ.) №01.20.01.010.452 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ფორმა“. წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია შპს „ფორმას“ (ს/ნ.:402013664) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, დირექტორის, ნიკოლოზ ხელთუფლიშვილის მიერ განმცხადებელის სახელზე 2022 წლის 13 ივლისს გაცემული სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომლითაც დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
2023 წლის 16 მაისის №AR1966464 და №AR1966088, აგრეთვე, 2023 წლის 19 ივნისის №AR1972904 განცხადებებზე თანდართული არსებული სიტუაციის ფოტოსურათებით დგინდება, რომ სამსახურის 2021 წლის 19 მარტის №5333913 ბრძანებით შეთანხმებულ №1 სახლთან მიმართებით სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია. ამასთან, 2023 წლის 16 მაისის №AR1966464 განცხადებაზე წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკით სამუშაოები იწყება „მონოლითური კიბის დასრულება +3.30 ნიშნულიდან +8.70 ნიშნულამდე“. ვინაიდან, დადგენილია, რომ სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამსახურის 2023 წლის 19 ივნისის №6517359 გადაწყვეტილებით მოთხოვნილია მუნიციპალური ინსპექციის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტი, დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითარი და საჭიროების შემთხვევაში, დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო (კონსტრუქციული) დასკვნა. აქედან გამომდინარე, სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის №5106244 და 2021 წლის 19 მარტის №5333913 ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა მოხდეს მათი ძალაში შესვლის დღიდან.
"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მათი ძალაში შესვლის დღიდან.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:
1. დაკმაყოფილდეს გიორგი ხმალაძის 2023 წლის 14 ივნისს №AR1972037 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის №5106244 და 2021 წლის 19 მარტის №5333913 ბრძანებები მათი

ძალაში შესვლის დღიდან.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.